საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-218

10/03/2020

ქ. თბილისი

„შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკა“-ს სახიფათო ნარჩენების გაუვნებლების (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის-ინსინერატორის) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის №ი-367 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სამინისტროს მიერ 2013 წელს შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკას“ სახიფათო ნარჩენების გაუვნებლების (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის-ინსინერატორის) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (26.12.2013).

2016 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ზემოაღნიშნული დასკვნით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შემოწმება. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებისა და გზშ-ის ანგარიშით წარმოდგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^2 მუხლის შესაბამისად, 2016 წლის 9 ნოემბერს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №031156 ოქმი. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და 2016 წლის 6 დეკემბერს გამოიტანა №4/9049-16 დადგენილება, რომლის შესაბამისად, შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკა“ სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი-ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული დადგენილება შევიდა კანონიერ ძალაში. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2017 წლის 24 აპრილის №000817 ადმინისტრაციული მიწერილობით საქმიანობის განმახორციელებელს შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად განესაზღვრა გონივრული ვადა.

მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების გადამოწმების მიზნით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 24 იანვარს განხორციელდა შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკას“ კუთვნილი სამედიცინო ნარჩენების ინსინერატორის ინსპექტირება. განხორციელებული ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანიის მიერ არ იყო შესრულებული დეპარტამენტის 2017 წლის 24 აპრილის №000817 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებები. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2018 წლის 24 იანვარს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, შპს „ექსპრეს

დიაგნოსტიკას“ მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №039908 ოქმი და მასალები განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

2018 წლის 5 მარტს სასამართლომ გამოიტანა №4/786-18 დადგენილება, რომლის შესაბამისად, შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკა“ სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად 79^2 მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და შეუფარდა ადმინისტრაციული სახდელი-ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული დადგენილება შევიდა კანონიერ ძალაში. შესაბამისად, გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად კომპანიას განესაზღვრა გონივრული ვადა.

2019 წლის 5 მარტს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკას“ მიმართ შემუშავებული და 2018 წლის 10 სექტემბრის №001056 ადმინისტრაციული მიწერილობით დადგენილ ვადაში განსაზღვრული ვალდებულებების და „სახიფათო ნარჩენების გაუვნებლების (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის-ინსინერატორის) საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2013 წლის 26 დეკემბრის №67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკის“ მიერ არ იყო შესრულებული დეპარტამენტის 2018 წლის 10 სექტემბრის №001056 ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული ვალდებულებები და „სახიფათო ნარჩენების გაუვნებლების (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის-ინსინერატორის) საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის“ პროექტის 2013 წლის 26 დეკემბრის №67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები. გამოვლენილ დარღვევებზე, 2019 წლის 17 აპრილს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №050715 ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^2 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ოქმი თანდართული მასალით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

2019 წლის 7 ივნისის №4/4099-19 დადგენილებით სასამართლომ შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკა“ სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^2 მუხლის შენიშვნის მეოთხე ნაწილის და 79^2 მუხლის შესაბამისად და დააკისრა ჯარიმა 45 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საქმიანობის განმახორციელებელს სამინისტროს მიერ ეთხოვა მოსაზრებებისა და განმარტებების წარმოდგენა. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკამ“ წარმოადგინა მოსაზრებები, თუმცა ინფორმაცია არ მოიცავდა დარღვეული პირობების შესაძლოდ მოკლე ვადაში გამოსწორებისთვის საჭირო დეტალურ ღონისძიებებს.

შესაბამისად, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი მასალები, ასევე კომპანიის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა გახდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებითა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკა“-ს სახიფათო ნარჩენების გაუვნებლების (სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის-ინსინერატორის) საწარმოს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის №ი-367 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკას“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ექსპრეს დიაგნოსტიკას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი